ჩემპიონატი

პირველი ორი ქულა

12 მაისს ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე მრავალმა მაყურებელმა მოიყარა თავი. ეს გასაგებიც იყო. ამ დღეს ერთმანეთს უნდა შეხვედროდა "ა" ჯგუფის ოსტატ ფეხბურთელთა ორი უძლიერესი გუნდი – **მოსკოვისა და თბილისის "დინამოები".** სრულ 5 საათზე მსაჯი ელისეევი (ბაქო) იძლევა ნიშანს. მოედანზე გამოსულ "მოწინააღმდეგეებს" მაყურებლები მხურვალე ტაშით აჯილდოებენ.

დაიწყო თამაში.

პირველი ხუთი წუთი სტუმრების მცირე უპირატესობით აღინიშნა. დამცველთა ენერგიული დახმარებით მოსკოველ თავდამსხმელთა ხუთეული ახერხებს თბილისელთა საჯარიმო მოედანზე რამდენიმე კრიტიკული მომენტის შექმნას, მაგრამ დოროხოვის, გაგუას და ფროლოვის ენერგიული თამაში არ აძლევთ მათ ანგარიშის გახსნის შესაძლებლობას.

თამაში კვლავ სტუმრებს მიჰყავთ. მე-16 წუთზე მოსკოვის "დინამოს" მარცხენა ნახევარშუამარბი თბილისის დაცვის მარჯვენა ფრთის სისუსტის შედეგად პირისპირ დარჩა დოროხოვთან. ბურთის გატანა თითქოს უდაო იყო, მაგრამ კარი მაინც გადარჩა. დოროხოვმა სხარტი ნახტომით ფეხებიდან ააცალა მას ბურთი. მე–35 წუთზე სემიჩასნიმ კარგად გამოიყენა ილინისაგან მოწოდებული ბურთი და ძლიერი დარტყმით მოაქცია თბილისელთა კარში.

პირველი ბურთის გატანამ გამოაცოცხლა თბილისის "დინამოს" თავდამსხმელები. ტაიმის უკანასკნელ 10 წუთში მათ ტემპიანი თამაში განავითარეს. 40-ე წუთზე მ. ბერძენიშვილმა საჯარიმო გარტყმიდან ბურთი მიაწოდა პაიჭაძეს. ეს უკანასკნელი შეუჩერებლივ გზავნის მას კარის მარცხენა კუთხისაკენ. მოტყუვდა მეკარე ფოკინი. ის მოელოდა, რომ ბურთს დამცველი მოიგერიებდა, მაგრამ იმედი არ გაუმართლდა და შეირხა ბადე. ანგარიშია – 1:1. ტაიმის უკანასკნელ 45-ე წუთზე გარღვევაზე გასული პაიჭაძის მიერ მიწოდებული ბურთი ჯეჯელავამ ძლიერი დარტყმით გაგზავნა მოსკოველთა კარის მარცხენა კუთხეში. ფოკინის მიერ მოგერიებული ბურთი მოხვდა ზურგში მისივე გუნდის დამცველს და მეორედ გაირღვა მოსკოვის დინამოელთა კარი.

პირველი ტაიმი დამთავრდა 2:1 თბილისელთა სასარგებლოდ.

შეჯიბრების მეორე ნახევარი თბილისელთა აშკარა უპირატესობით დაიწყო. მოსკოველებს დაღლილობა დაეტყოთ. გაუმართლებელი იყო აგრეთვე თამაშის ტაქტიკა, რაც უმთავრესად იმაში გამოიხატებოდა, რომ მათ ორი-სამი მოთამაშე მიუჩინეს პაიჭაძეს ჩასაკეტად. პაიჭაძემ დროულად აუღო ალღო მოწინააღმდეგის ტაქტიკას და დაიწყო ბურთის შეუჩერებლად მიწოდება გარემარბებზე, რომლებიც მეტწილად ღიად იყვნენ. გარემარბებიდან მოწინააღმდეგის მცირე შეცდომაც კი უნაკლოდ გამოიყენა ჯეჯელავამ, რომელმაც მე-15 და 24-ე წუთზე ორჯერ გაარღვია მოსკოველთა კარი.

პირველი კალენდარული მატჩი თბილისის "დინამოს" ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა 4:1. ეს იყო პირველი მოგება და პირველი ორი ქულა, რომელიც თბილისის დინამოელებმა მოიპოვეს მოსკოვის "დინამოს" წინააღმდეგ თამაშში სსრკ პირველობაზე.

ვ. გ.–ლია.

"ახალგაზრდა კომუნისტი", 14 მაისი, 1939 წ.